№ 122. 14 ივნისი, კვირა. 1866 - 1881 14 ივნისი, კვირა. № 122

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე, ავ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროება და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივი ასოთი [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივი [illegible] დაუბეჭდავს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

არწრუნის თეატრში

კვირას, 14 ივნისს

ბენეფისი

რეჟისორის თანაშემწის

**მ. წერეთლისა**

ქართული დრამატიული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქმნება:

I

მზის დაბნელება

სამ მოქმედებიანი კომედია, ზ. ანტონოვისა.

II

დივერტისმენტს.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღის ბირჟა, 12 ივნისს.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 96 | 50 |
| მეორესი | 94 | 50 |
| მესამესი | 94 | 50 |
| მეოთხესი | 94 | 62 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 93 | 12 |
| აღმოსავლეთის მეორე | 92 | 87 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92 | 87 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 8 | 15 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 225 | 50 |
| მეორე სესხის | 219 | „ |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 24 | 45 | პენსი |
| ბერლინი | 123 | „ | პფენიგი |
| ჰამბურღი | 209 | „ | ცენტი |
| პარიჟი | 256 | 87 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — | — | |

## სწავლა-განათლების საქმე

თბილისი, 13 ივნისს.

ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო ამას წინათ რიცხვი იმ ქართველ ყმაწვილ-კაცებისა, რომელთაც თფილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში შეასრულეს წელს სწავლა: თფილისის კლასსიკურ გიმნაზიაში ოც-და-თოთხმეტ ყმაწვილ-კაცში 9 ქართველს გაუთავებია კურსი და ქუთაისის გიმნაზიაში თორმეტი ყმაწვილიდამ სამი ქართველი ყოფილა.

ამდენი ქართველები თფილისის გიმნაზიის კურს-შესრულებულებში დიდი ხანია არ გვინახავს: საზოგადოთ ამ გიმნაზიაში წელიწადში ერთი ან ორი ქართველი თუ ათავებს კურსს, მეტი არა. მაგიერად ქუთაისის გიმნაზია გვაკვირვებს: იქ მუდამ წელიწადს თითქმის მარტო ქართველები ათავებდნენ კურსსა და წელს კი თორმეტში მარტო სამია ქართველი.

ჩვენ არ ვიცით—თფილისის რეალურ სასწავლებელში გაათავეს წელს ქართველებმა სწავლა, თუ არა; ან თუ გაათავეს, რამდენმა. მაგრამ, ვსთქვათ, აქაც სამს ქართველს შეუსრულებია კურსი. გამოვა, რომ ყველა გიმნაზიებიდამ წელს 15 ქართველი გამოსულა და ამ თხუთმეტს ეძლევა უფლება უმაღლესის განათლების მიღებისა.

უფლება ეძლევა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში უმაღლესი სწავლის მისაღებად და რუსეთში წასასვლელად მარტო უფლება არ კმარა, საჭიროა ღონის-ძიება, საშუალება; თუ მივიღებთ ამას გარდა მხედველობაში, რომ ზოგიერთი რუსეთში წასულ ყმაწვილ-კაცებში შეიძლება და უნდობილმა სიკვდილმაც მოგვტაცოს და ზოგიერთები სხვა რომელიმე მიზეზით ვერ შეასრულებენ უმაღლესს სწავლას,—გამოვა, რომ წლევანდელის გიმნაზიის კურსიდამ ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ჩვენ მოგველის მხოლოთ ხუთი-ექვსი, ბევრი-ბევრი ექვსი ან შვიდი უნივერსიტეტებში ან სხვა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში კურს-დასრულებული ყმაწვილ-კაცი.

დამეთანხმეთ, რომ ეს რიცხვი ერთობ ცოტაა, ერთობ მცირეა ერთის მილიონის ქართველ ტომის ხალხისათვის. მუდამ წელიწადს რომ მხოლოთ ოთხმა ან ხუთმა ყმაწვილ-კაცმა მიიღოს უმაღლესი განათლება, როდის უნდა ეღირსოს ჩვენი ქვეყანა ამათგან იმ ნაყოფის მოტანას, რომელსაც უმაღლესის სწავლას პატრონისაგან უნდა ველოდეთ? როდის უნდა მოიფინოს საქართველო ნასწავლ ექიმებით, იურისტებით, ინჟინერებით, ტეხნიკებით, მასწავლებლებით? როდის უნდა „გაიაფდეს“ ჩვენში დიპლომები და სწავლა განათლება?

თუ ამ კუს ნაბიჯით ვიარეთ, თუ მთავრობამ და თვითონ საზოგადებამ სხვა საშუალება არ მოსძებნა, საშუალება, გამაადვილებელი საშუალ სასწავლებლებში კურსის შესრულებისა და შემდეგ უმაღლესის სწავლის მიღებისა,—უეჭველია, რომ, ასე შორს ვერ წავალთ, მალე ვერ ვეღირსებით ჩვენს ქვეყანაში უმაღლეს სწავლის მიღებულთ დასის გამრავლებასა და მოწინავე ახალგაზდობის რიცხვის თვალ-საჩინოდ მომატებასა.

სამი რამ დაგვეხმარება ჩვენ ამ შემთხვევაში, სამი რამ, რომელზედაც გაზეთში არა—ერთხელ გვქონია ლაპარაკი და შემდეგაც არა—ერთხელ კიდევ გვექნება:

ა) უნივერსიტეტის გახსნა თფილისში, ეს გაუადვილებს ჩვენებურ ყმაწვილ კაცებს უმაღლეს სწავლის მიღებასა და დაიხსნის რუსეთის მავნებელ ბუნებისაგან და შეუსაბამო ხარჯისაგან;

ბ) პირველი დაწყებით სწავლის სამშობლო ენაზე წაყვანა. უცხო ენაზე სწავლის დაწყებას, უეჭველია, დიდი და მავნებელი გავლენა, ზედმოქმედება აქვს ქართველ ყმაწვილების ნორჩ ტვინზე, ეს ტვინი იმდენათ ილალება, ხანდისხან ჩლუნგდება კიდეცა, რომ შემდეგ დიდი შრომის, მუშაობის ატანას ველარ ახერხებს;—ეს არის მიზეზი, რომ მომეტებული ნაწილი ქართველ გიმნაზიელებისა მესამე და მეოთხე კლასიდამ გამოდიან ანუ გამოირიცხებიან ხოლმე, და

გ) საშუალ სასწავლებლების რიცხვის მომატება ჩვენში. თფილისის კლასიკურ გიმნაზიაში ამ ჟამად, თუ არ ვსცდებით, რვაას შაგირდამდინ ითვლება; ქუთაისის გიმნაზიაში, ამბობენ, რვაასზე მეტიც არისო, იქ მეექვსე კლასამდინ პარალელური კლასები არისო და წელს, რადგან მეხუთე კლასში 60 შაგირდზე მეტი არისო, მეორე პარალელური კლასის გახსნაც საჭიროაო. განა მარტო ეს ორი გიმნაზია,—ყველა საშუალ სასწავლებლები სავსეა შაგირდებით და უადგილობის გამო, მსურველთაგან ნახევარს, მეოთხედს, მეათედ ნაწილსაც აღარ იღებენ.

«დროების» ფელეტონი, 14 ივნისს.

### აჩრდილი

(ვუძღვნი კნ, ბ. ა—სას.)

საღამოს ჟამი. მზე დამავალი
სერებს გადასცდა და ეფარება;
მასთან ბინდ-ბუნდი, წყნარად მავალი,
ნათელს გარს ერტყმის და ეპარება.

—

მხოლოდ მზის სხივნი მოკამკამენი
ჯერეთ კიდევ ცას შესჩერებიან,
მაგრამ მილეულნი, გლას საამენი,
წყნარის სინაზით მასზედ ჰქრებიან.

—

ძილის-პირები ფრინველთ მომართეს,
ველებს დასძახეს, გალობა უწყეს;
ყოველ სულდგმულსა ერთ ხმად მოჰმართეს
და ძილად მისვლა მითი აუწყეს.

—

ყველა სიამით ძილს ეშურება:
დღეს განისვენოს, იხაროს ხვალით...
ეს ტკბილი ძილი ბევრს ეშურება
და ბევრიც უმზერს ნაღვლიან თვალით.

—

ამ ფუფუნებას, მიდლილ ბუნებას
შორით უურს ვუგდებ მჯდომარე სერსა,
და ერთი ფიქრი მირევს გუნებას,
გულსა მიგმირავს, უწყალოდ სერსა.

—

თვალ-წინ სრიაკი მთა აღმართული,
მის ძირს უფსკრული, უწყლო ხეობა;
დაღმა გაშლილნი და აღმა რთული
მთები... მთლათ სჩაგრავს მათ უსწორობა.

—

აღმოსავლეთით თვალ დაკვირვებით
უცბათ მოვკლე მოგონებასა;
ვნახე რამ შენი და გაკვირვებით
მსწრაფლ დავეკითხე მე გონებასა:

—

— ამ სრიაკ მთაზე კოშკნი, ციხენი
ნეტავ თუ რისთვის, ვინ ააშენა?
და ან ბუჩქნარნი, კეკლუცი ხენი
მის ძირში ნეტა ვინ გააშენა?!

—

ნუ თუ ივერმა იმ მშვენიერმა
აქაც იწვნია თვის უბედობა,
როს შეაწუხა მოსისხლე მტერმა?!
თავს დაეკითხე, ვიწყე უბედობა.

—

ნუ თუ ერთგულნი, მამულის შვილნი,
მეფისა სპანი, მეფის ამალა
აქ სადმე იყვნენ ამოწყვეტილნი,
და საუკუნოთ მიწამ დამალა?!

—

ნუ თუ მოსისხლე ჩვენის მტრებისა
აქ მხნე ვაჟ-კაცებს გულს ესვათ ტყვია,
და წმინდა სისხლი იმ გმირებისა
ამ არე-მარეს არსად ატყვია?!

—

ნუ თუ ოდესმე აქ დარაზმულნი
დიდი, პატარა იკრიბებოდნენ;
მტერთან საომრად თავ-განწირულნი,
პირ-მოცინარნი ომში კვდებოდნენ?!

—

ნუ თუ მორჩმული ვინმე ჭაბუკი
აქ მამაცებში იყო, რეოდა...
როს მოისმოდა საყვირი, ბუკი,
პირველი ომში გადერეოდა?!

—

ამა ფიქრებმა ჩამიგდეს ენა:
გულს კაეშანი მაწვავს ვით ზვავი;
დავიწყე ქშენა, გონებამ ფრენა
და ნაღვლიანათ ჩავკიდე თავი.

—

ამ დროს შრიალი, ნელი სრიალი,
კოჯრის ნიავის ტკბილი ალერსი,
შეეხო ბუჩქნარს, იწყო ფრიალი,
და დაღუღუნა ყრუთ რაღაც ლექსი.

—

ხევში გუგუნი, ზვირთებრ დუდუნი
თითქო მომითხრობს რაღაც ძველებურს...
მაგრამ არ მესმა უცნობი ეს ხმა,

როცა ამ სამს ნაკლულევანებას მოვსპობთ, მაშინ და მხოლოთ მაშინ შეგვეძლება ვსთქვათ, რომ სწავლის კარები დახშული არა გვაქვს-თქო, ვეღირსებით ჩვენ ჩვენის ქვეყნისათვის განათლების სხივის მომფენ ახალგაზდობის გამრავლებასა და უმეცრებისაგან დაჩაგრულ ხალხის წარმატებას.

## ახალი ამბები.

ჩვენ გვაცნობებენ, რომ წელს თფილისის ალექსანდროვის საოსტატო ინსტიტუტში 12 ყმაწვილ კაცს შეუსრულებია სწავლა, რომელთა შორის 5 ქართველია (ნასიძე, რცხილაძე, მირიანაშვილი, მთავრიევი და ჯაფარიძე, 5 რუსი, 1 სომეხი და ერთიც პოლშელი. ამათში ორს მიუღია მედალი, ორივე ქართველებს: ნასიძეს — ოქროსი და რცხილაძეს — ვერცხლის.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ იმ მხეცურ ბოროტ მოქმედების თაობაზედ, რომელიც თ. ივ. კ. მუხრანსკის კაცებს ჩაუდენიათ და რომელიც გუშინდელს ჩვენს გაზეთში იყო მოყვანილი, თ. ალ. მუხრანსკის საჩივარი შეუტანია თფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორთან და უთხოვნია, რომ ამ საქმის თაობაზედ გამოძიება დაინიშნოს.

ამ დღეებში დავბეჭდავთ სოფ. თეზის მამასახლისის „აქტს“, რომელშიაც ეს ბარბაროსული მოქმედება თ. ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკის კაცებისა დაწვრილებით არის აწერილი და რომლიდამაც მკითხველი ცხადათ დაინახავს — თუ სადამდინ მიაღწევს ზოგიერთ პირების გაბედულობა და მტარვალობა...

* * *

ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ზუგდიდის მაზრიდამ მიღებული ამბავი შესახებ ერთ იქაურ მონასტრის გაცარცვისა. მივიღეთ აგრეთვე ამბავი ქუთაისის სობოროს გაქურდვისა. ახლა ამაზე უფრო გასაკვირეელს ამბავს გაზ. „კავკაზში“ იწერებიან: მაისის თვის განმავლობაში ექვსი ეკკლესია გაქურდეს მარტო თფილისის უეზდში ავაზაკებმა, სახელდობრ: დილმის, ავჭალის, ზლდანის, მამკოდისა და ლილოსი.

სადამდინ მივალთ, თუ ასე ვიარეთ? მგონია, ორ-სამ წელიწადში ერთი ეკკლესიაც აღარ დარჩეს ჩვენს ქვეყანაში გაუცარცვავი.

„კავკაზი“ ამ გარემოების მიზეზად სამართლიანად ამბობს, რომ ეკკლესიები უყარაულოდ, უპატრონოდ არიან ჩვენში მიგდებული და ამიტომ არისო, რომ ქურდები და ავაზაკები ასე თამამად სცარცვენ იმათაო.

* * *

ზაქათალიდამ იწერებიან ამავე გაზეთში, რომ ამ თვის 8-ს იქ ჩასულან სამხედრო სასამართლოს წევრები, რომელთაც მინდობილი აქვს ზაქათალის მაზრის უფროსის სერაფიმოვიჩისა და ზემლემერის საკალცოვის მოკვლის საქმე. ამათი მკვლელი ალექსანდროვე ბალაჯოვი სამხედრო კანონების წესით უნდა გაასამართლონო და სამს დღეში უნდა გადაწყდეს ეს საქმეო.

* * *

სია საგნებისა, რომელზედაც ჩვენი ქალაქის რჩევას ექნება სჯა ხვალ, ორშაბათს:

მოხსენება კამისიისა ქალაქის სესხის აღებაზედ,

გუბერნატორის წინადადება ამავე საგნის შესახებ,

მოხსენება ქალაქის გამგეობისა სიონის ქუჩის გასაფართოებელად ადგილების შესყიდვაზე,

მოხსენება გამგეობისა ნატალია შიოევის ანდერძის შესახებ,

მოხსენება გამგეობისა ქალაქის აგურხანებზე,

წინადადება ხმოს. ნ. დ. ზუბალოვისა იმის შესახებ, რომ თბილისის სადგომებზე ცალკე გადასახადი დაიდვას და სხვ.

* * *

აქაურ სომხურ გაზეთებში იწერებიან, რომ ეჩმიაძინის პატრიარქი ზევორკ მეოთხე მძიმე ავათმყოფი არისო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

გორი, 9 ივნისს. „დროების“ მკითხველს მოწყენილი აქვს გორელების უთაურობის ამბები, მაგრამ აგება ამოდენის გასაბეზრებელის მათზედ წერით გორელებმა იფიქრონ და გააკეთონ თავიანთ ქალაქისათვის რამე.

ეხლა წყალი თან-და-თან იკლებს. და ამიტომ ურიგო არ იქნება, გამოიჩინონ თავოსნობა, ახლავე დაიწყონ ხიდის გაკეთება, დახარჯონ ორასი ანუ სამასი მანეთი, დროებით გამოსადექ ხიდს მაინც გააკეთებენ, რომელსაც მარტის გასვლამდე შეეძლება მუშაობა; რვა თვეში რვა ასი თუმანი შემოუვა ქალაქს იმ ანგარიშით, როგორც შემოსდიოდა ხიდიდგან და ეხლა შემოსდის პარომიდგან. თუ არა და უთაურობით ეს საქმე შარშანდელივით ქრისტეშობის თვემდე დარჩება, ატარებენ და მაშინ გააკეთებენ.

წასრულის თვის ენკენისთვეში გაუთავდა ოთხი წელიწადი გორის გამგეობის არჩევას. დაიწყეს და მასუკან არჩევენ, არა ეშველათ რა; აგერ წელიწადი ხდება, ხან ერთი ეჩივლებს და ხან მეორე უნდათ, რომ ასე გაატარონ, როგორც გაუტარებიათ. როგორც იყო, მეორისა და მესამე ხარისხის ხმოსნები აირჩიეს; გაჭირდა პირველის ხარისხის ხმოსნების არჩევა: ძლივს 16-ს განვლილს მაისში მოხდა. ერთმა ხმის პატრონმა ბ. ამიროვმა თვითონ კრებაში მისვლა არ ინება, ვინ იცის გულმა რა შეუტყო, გაგზავნა თავის მაგიერათ რწმუნების წერილით ერთი თავისი ნათესავი მ. დონდაროვი, რომელსაც მიანდო მხოლოდ აღრჩევაში დასწრება. აღრჩევის დროს რავდენმამე პირმა სიაში შეიტანეს ბ. ამიროვი, უყარეს კენჭი, სხვათა შორის, და რაღა იღბალზედ აკი შავი კენჭი მომეტებული ამოვიდა თეთრზედ. რა ქნას, სწუხს, ან რა გასამტყუნარია, რომ სწუხდეს; მოიგონა რაღაც-რაღაცა მიზეზები; რატომ ვერას მოახერხებს: იურისტი კაცია, დაუწერა საჩივარი თავის რწმუნებულს დონდაროვს სამ თაბახზედ გაჭრელებული, ვითომც რჩევის დროს კრებას უწესოება მოეხდინოს. თუმცა კი არა ყოფილა-რა, მაგრამ იმედი აქვს, რომ გაუქმდეს ეს აღრჩევა და მეორეთ რომ მოხდება, მაშინ კიდევ შეიტანენ მას სიაში. ამ დროს წამოდგება და სთხოვს კრებას: ბატონებო, მე გთხოვთ განმათავისუფლეთ, კენჭს ნუ ჩამომიტარებთ, დიდი მადლობელი გახლავარ თქვენის კეთილ განწყობილებისათვის. რასაკვირველია, კრება მიიღებს თხოვნას, აღარ ჩამოუტარებენ კენჭს და ამით გასწორდება პირველი გაშავება, თორემ ბ. დონდაროვს მონდობილი ჰქონდა აღრჩევაში დასწრებოდა მხოლოდ, რწმუნების წერილი არ იყო შემოფარგლული, რომ თუ დაინახო უწესოებაზედაც იჩივლეო. არა სჯობდა, რომ თვითონ ბ. ამიროვს ეჩივლა; ეხლა ეს საჩივარი გუბერსკის სასამართლოში გაგზავნეს, ვნახოთ როგორ გაივლის.

ბ. ამიროვს გორელებთან მამულზე დავა ჰქონია და მოუგია ეს დავა; რასაკვირველია, გორელების უთაურობით უსარგებლია. ახლა რომ უკანასკნელი კენჭის-ყრა იყო პირველის ხარისხის ხმოსნების აღრჩევაზედ, სულ 15-თუ 19 კაცს ჰქონდა კენჭი და ამ კრებამ გააშავა; ამის გამო ბრაზი მოსულია, წასულა და ოლქის სასამართლოში საჩივარი შეუტანია (შვიდი წელიწადია უკანასკნელის გარდაწყვეტილებიდგან), გორელები უსინდისო მფლობელად იცანითო (**признать недобросовѣстными владѣлцами**), — რა არის — გაჯავრებულმა უნდა ზარალი გარდაახდევინოს! ზამოდის, რომ ამითი მოინელებს გაშავებით გახურვებულს გულს...

* * *

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ

---

თუმც გულმოდგინეო კი ვუგდებდი ყურს!

—

უცბათ სიჩუმე, ბნელი სამარე.
გზი სულ-აკრეფით, ხმა გაკმენდილი:
ნიავი შესდგა, დაწუნარდა არე...
ვაი, თუ ვიქმენ გლახ წაწყმენდილი!

—

გამოჩნდა შორით პირად ჩემ სწორით
რაიმე მნათი სპეტაკ - ელვარე,
მომიახლოვდა, გამოვლო გორით
და თავს დამადგა მეტათ მღელვარე!

—

იყო პირად მზე და თვალ-საჩენი,
ჭარმაგი ვინმე გმირთა გმირს ჰგავდა!
ნუ თუ ოდესმე მისი გამჩენი
მისს მსგავსს ქვეყანად არვის შობავდა!

—

თეთრ წვერსა, თმასა გულ წასატანსა
ამკობდა სიმხნე და მორჭმულობა:
შვენოდა გმირულს, მამაცსა ტანსა
ჩაჩქნით, ფარ-ხმალით აღკაზმულობა.

—

აბჯაროსანსა ჭარმაგოსანსა
ნიშანი აჩნდა რაღაც ციური;
აადელვებდა ყველა მგოსანსა
მისი უმანკო სახე, ღვთიური!

—

წარმოსდგა ფეხი, როგორც რომ მესი,
თავზარი მეცა, მივიხრწნე წბილათ;
მან მითხრა სიტყვა არ დასავიწყები,
მამა-შვილურად დამიწყო, ტკბილათ:

—

„შენ გსურს, იცოდე, რასა ნიშნავენ
ეს ნანგრევები და ესე შთენი,
ეს გალავანი, ხენი, ბუჩქნარნი
და მათ გარემე სხვაც დანაშთენი?

—

„გეტყვი, თუ სმენად მათხოვებ ყურსა,
რა საიდუმლო არს დამალული;
ბევრსაც გიამბობ არ საამურსა,
მაგრამ ტირილით ვიჯეროთ გული!

—

„აქ იყო ციხე დიდის მეფისა,
ცუდი მოწამე სისხლის დროების:
აკლდამი გმირის ქართველებისა,
შთანთქმელი ჭაბუკთ გვამთა ხროვების!

—

„ჩახქანთ ზრიალი, თოფის გრიალი
ამ ციხეს ბევრჯელ მოუსმენია;
ქართველთ დაცემა, „ურას“ ღრიალი
მტრებისგან ბევრჯელ მოუთმენია!

—

„უოველ მხრით მტერნი, სპარსნი, ოსმალნი
ამ ციხეს გარე შემორტყმევიან
და რა უნახავთ ქართველთა ხმალნი,
დღის სავალზედაც შორს გაქცევიან!

—

„დარბაისელნი მველი ქართველნი
აქ მეფის გარე შემოკრბებოდნენ,
მტერზედ მრისხანე მამულის მცველნი
ომის სურვილით იბნიდებოდნენ.

—

„აქ მათი მეფე თვისთა ერთგულთა
ეგებებოდა, ვით მამა შვილთა,
მშობლის ალერსით გარდაკოცნიდა:
დიდსა, პატარას, ჭაბუკთ და ჩვილთა.

—

„მერმე ნადიმათ მათ მიიწვევდა,
თითოსაც შუა ჩაუჯდებოდა;
მტრის სისხლი სწყუროდა და ფიქრი ჰკლევდა..
მამულის შველას ევედრებოდა.

—

„ნამდვილ ქართველნი, ჩვენი ივერნი
ერთხმად ეტყოდნენ მეფეს მაშინა:
„— ან ჩვენ გავწყდებით, ან ჩვენი მტერნი,
„ჭკოი, მეფეო, რამ შეგაშინა?!“

—

„გულის კრიალით, „ურას“ ღრიალით
სადღეგრძელონი მეფის ისმოდა;
ვინ ჯამით, ყანწით და ვინ ფიალით.
„— მეფე ატოცხლოს!“ სულ ეს ისმოდა.

—

„არ დარჩებოდათ არცა-რა ერთი.
რომ არ შესვათ მის სადღეგრძელო!
„ქართველ ხალხს სწყალობს მაღალი ღმერთი

ჩემს წერილს თქვენს პატივცემულ „დროებაში“ და მომცეთ საშუალება იმის გამოცხადებისა — თუ როგორ უსამართლოთ მეპყრობიან ინჟინერი საფრონსკი და თანაშემწე ყარაიაზის გამგებელისა ტერ-აკიმოვი. აი საქმე რაში მდგომარეობს:

მე ავიღე იჯარით მიწის მუშაობა ყარაიაზზედ სამ ნაირი: 1) ძველი არხის გაგანიერება, 2) ახალი არხის გათხრა და 3) ბანკეთის ასაწევათ მიწის მოთხრა. კანტრაქტის ძალით ძველი არხი კუბიკური საჟენი 4 მ. 50 კაპ. უნდა გამეკეთებინა, ახალი კუბიკური საჟენი 4 მ. და ბანკეთისათვის მიწის მოთხრა 3 მან. და ყოველ კვირიდამ კვირემდინ ანგარიშის გასწორება ასე, რომ ნამუშევარი ჩემი უნდა მიეღოთ და ხვედრი ფული უნდა მოეცათ.

მეც დავადეგ მუშაობას და ვიმუშავე; ერთი კვირის შემდეგ, კანტრაქტის ძალით, მიველ და ვთხოვე მიეღოთ ნამუშევარი. მითხრეს, ინჟინერი ქალაქში არისო. რა მექნა, დარჩა მეორე კვირამდინ. მიველ მეორე კვირას და ახლა მითხრეს, რომ გამგებელის თანაშემწე ქალაქში არისო. ძიდევ მოვითმინე. მესამე კვირაც მოვიდა, მიველ კიდევ. ძლივს დამხვდნენ ორივე და დიდის ხვეწნით წავიყვანე ინჟინერი ასაზომავათ. მოვიდა, ნამუშევარი ნახა და მითხრა: ახლა არ ავზომავ, ისე შეხედულობით მოგცემო. თუმცა ბევრი ვეხვეწე, მაგრამ არ აზომა; ხვალ მოდიო კანტორაში და ფულს მოგცემთო. ჩემდა საუბედუროთ, მეორე დღეს ახლა თანაშემწე კიდევ ქალაქში წასულიყო. ინჟინერმა მომცა კანვერტი და მითხრა: ქალაქში წადიო და იქ მიიღებ ფულსაო. მეც წამოვედი ქალაქში.

მივართვი კანვერტი ყარაიაზის გამგებელის თანაშემწეს; გახსნა და წაიკითხა. აილო და ათ თუმანს მაძლევს. მეტი მერგება-მეთქი, ვუთხარი. — ინჟინერს მოუწერია ათი თუმანი მიეციო, მიპასუხა. რა მექნა? გამოვართვი და წაველი. ერთი თუმანიც გზაზედ დამეხარჯა.

მერმე დამიწყეს წვალება და მეც გაჯავრებული გარდავეცი იჯარა თათარს, რომელიც ერთი კვირე მეხვეწებოდა და მაძლევდა კუბიკურ საჟენზე შვიდ შაურს მოგებას. თვითონ ბ. ტერ-აკიმოვმა დასწერა ახალი კანტრაქტი. მივეცი იმ პირობით, როგორც მქონდა აღებული ყარაიაზის უპრავლენიდამ, მხოლოთ შვიდ შაურ ნაკლებ კუბიკურ საჟენზედ და ეგ შვიდი შაური უნდა გამოერიცხა თანაშემწეს ჩემ და ჩემი მეორე ამხანაგის სასარგებლოთ და ეს ფული უნდა მივიღოთ ყარაიაზის უპრავლენიიდამ; დანარჩენი ფული შეეძლო თათარს მიეღო უჩვენოთ. ახლა ეს თათარიც ისრე დატანჯეს, რომ ერთხელ არ აუზომეს, სულ ისე „დაახლოებით“ აძლიეს. მინამ მორჩებოდა, მეც იქ ვიყავი, როგორც ვაკეთებდით, ისრე ვზომავდით და როდესაც გათავდა, წაველ მოვიყვანე ინჟინერი და აზომა; მაგრამ მისი ანგარიშით დაგვაკლდა 300 კუბიკურ საჟენი... რასაკვირველია, იმათაც ის უნდოდათ. შეიძლება, მართალია ეს ინჟინერის ანგარიში: მოგეხსენებათ, ყარაიაზზედ იცის ქარი ისეთი, რომ წვრიმალ ქვის კენჭებს ადვილათ გადაისვრის არხში და მასთან მტვერი თუ სხვა რაიმეთ აამსო ნამუშევერი მიწა და აქედამ შეიძლება დაკლება; მაგრამ არც ამტელი დაკლება გაგონილა. თურმე მაშინვე ეზომა, უეჭველია, ამდენი დანაკლისი არ აღმოჩნდებოდა. ახლა აგერ ორი თვე გახლავთ, რაც ჩაიბარა ნამუშევარი ჩვენი და იარალი ყოველი და გვითხრა, ერთ კვირამდინ მოითმინეთო და ანგარიშს გავასწორებო. იმის ერთმა კვირამ გასტანა ერთი თვე, ახლა მეორე თვეში კიდევ გვეუბნება რუსულ „ზავთრას!“ მიველთ, კიდევ „ზავთრა“. არვიცი რას ნიშნავს იმათი ზავთრა: თვეს, კვირას თუ დღეს? არ მესმის, ეგ თუ ინჟინერია, ინჟინერის საქმეც ეს არის, რომ აჩვენოს მეიჯარადრეს სამუშაო ალაგი, უთხრას — თუ როგორ გააკეთოს, გაკეთებული აზომოს და ჩაიბაროს. ჩემი ნამუშევარი ჩაიბარა აგერ ორი თვე არის და ეხლა მეუბნება ცუდი არისო! თუ ცუდათ გაკეთებული იყო, რატომ მაშინ არა სთქვა, რატომ ჩაიბარა?

მაგრამ თუ მე ცუდათ მოვიქეცი, სხვა მეიჯარადრეებმა (თათრებმა) რაღა დააშავეს? იმათაც რომ ჩემსავით აწვალებენ! ყველა ავი შაიქნა ერთ კაცთან?

ნ. ნიჟარაძე.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ლონდონის „დემოკრატიულ ამხანაგობამ“ ამ დღეებში მოახდინა ლონდონში თავის წევრთა ყრილობა, რომელზედაც თავის მამავალ მოქმედების პროგრამმაზედ უნდა მოელაპარაკნათ. ამხანაგობის თაოსნებმა წარუდგინეს ყრილობას ამ პროგრამმის პროექტი, რომლის ძალითაც ამხანაგობა თხოულობს: ხალხის წარმომადგენელთა (დეპუტატთა) ამორჩევაში ინგლისის ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ხმა; დეპუტატი სამის წლით უნდა იქმნეს ამორჩეული, შემდეგ ახალი კენჭის-ყრა უნდა მოხდეს; დეპუტატებს ჯამაგირი უნდა მიეცეს და რაც კენჭის-ყრაში ხარჯია, საზოგადოებამ უნდა იკისროს და არა თვითონ კანდიდატმა; ვინც მოსყიდვით მიიმხრობს ამომრჩეველს, სისხლის სამართალში მიეცეს; ლორდების პალატა გაუქმდეს; მიწა მთელ ხალხის საკუთრებად უნდა ჩაითვალოს; ირლანდიას მიენიჭოს თავის საკუთარი კანონ მდებლობის უფლება. ამ პროგრამმის თაობაზე რამდენიმე პირმა წარმოსთქვა სიტყვა და ბოლოს ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა პროგრამმა.

— შვეიცარიაში აღკრძალული კრება სოციალისტებისა, ამბობენ, ლონდონში მოგროვდება.

**ბოლგარია.** ინგლისის გაზეთ „*Daiyl News*“-ში დაბეჭდილია ბოლგარიიდამ გაგზავნილი წერილი, რომლის ავტორიც სასტიკად ჰკიცხავს ბოლგარიის მთავრის ალექსანდრეს უკანონო მოქმედებას. ინგლისი იმიტომ კი ცდილობდა ბოლგარიის საქმის რიგიანად დაწყობას, სწერია ამ კორრესპონდენციაში, რომ ოსმალეთის მტარვალობის მაგიერად, მთავრის მტარვალობა დამყარებულიყო ბოლგარიაში. მთავარს არავითარი უფლება არა აქვს კონსტიტუცია და ამასთანავე თავისუფლება მოსპოს ბოლგარიაში. ინგლისი ვალდებულია ევროპას მიმართოს, თუ ბოლგარიის მთავარი არ შეჩერდება და კონსტიტუციურ წესისა და კანონების მოსპობას განიზრახავს“.

**საფრანგეთი.** — დეპუტატთა პალატამ დაიწყო ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავლის) განხილვა.

— სენატს მიუღია კანონმდებლობა ყრილობების თავისუფლობის შესახებ, მხოლოდ ცოტაოდენის პალატის ცვლილებებით.

— რადიკალმა ტოლენმა შეიტანა წინადადება კონსტიტუციის გარდახედვისა; პალატამ ვერ დაინახა აუცილებელ საჭიროებად ეს წინადადება.

— გაზეთი *National*-ი გვაცნობებს, რომ 2 ივნისს, ღამით, განიზრახეს აეფეთქათ თოფის-წამლით ტიერის ძეგლი სან-ჟერმენის უბანში; ძეგლი ზოგიერთ ალაგს დაზიანებულიაო.

— ალჟირიდამ მოვიდა ამბავი პარიჟში, რომ იქ დაწყებულა აშკარად ხალხის აჯანყება. ოფიციალური მოხსენება იმის შესახებ ამბობს, რომ აჯანყებული ხალხი ამოწყვიტეს კიდევაცო.

— თუნისის ექსპედიციაზე, როგორც გამოუანგარიშებიათ, საფრანგეთს დაუხარჯავს 17½ მილიონ ფრანკამდე (შვიდ მილიონ მანეთამდის).

**შვეიცარია.** ქ. ბერძნიდამ იწერებიან, რომ შვეიცარიის მთავრობამ აღუკრძალა სოციალისტებს კრების დანიშვნა ციურიხში.

— **ბოლგარია.** სოფიიდამ იწერებიან 1 ივნისს, რომ მთავრობამ გამოაცხადა ბეჭდვის კანონები, რომელსაც

---

და შენ, მეფეო ჩვენო, დღეგრძელო!..“

—

„ნადიმის შემდეგ ჰქონდათ ჩვეულად,
მეფე ილოცდა, შემოკრბებოდნენ;
რა აკურთხებდა მათ თვითეულად,
მაშინვე გზისკენ გაუდგებოდნენ.

—

„აწ ცოლთან, შვილთან გამოთხოვება...
ომს წამსვლელთათვის უდიდესია;
სტოვებენ, თუმც გულს არ ეტოვება,
რადგან სამშობლო უტკბილესია.

—

„ზოგს დედა მისტირს, ზოგს ცოლ-შვილი,
ზოგი ძმას გლოვობს და დანიშნულსა;
მაგრამ არ გვქონდა ჩვენ გული ჩვილი..,
მიზანს მივსდევდით ერთს აღნიშნულსა:

—

„თუ ქართველნი ვართ, მაშ ვიქართველოთ,
მამულს ვუშველოთ, თუ გვწურავს ქუდი;
სამშობლოს მტერი სულ ფესით ვსთელოთ
და ამოვჟლიტოთ ჩვენშიაც მრუდი“.

—

„რა იწყებოდა ომი ფიცხელი,
მაშინ ნახავდით ჩვენს ბიჭობასა;
ვერ შეგვაშინდა ჩვენ ტყვია ცხელი,
რადგან ვუწევდით ძმათა ძმობასა.

—

„ხმლისა წკრიალით, ურთმანეთ ფრიალით
ჭაბუკი ომში გადერეოდა,
სთელავდა მტერსა, ვით ფესის მტვერსა!
ერთს ჩვენს თხუთმეტი ვერ ერეოდა.

—

„დამაბუნებულს თათრისა ჯარსა
დავესეოდით, ვით თხებში ლომი,
სულ გავფიცებდით მათ წმინდა ჯვარსა...
მგელათ ქართველთა ვიცოდით ომი!

—

„ჭექა-ქუხილი, გრგვინვა თოფისა,
ელავს შაშხანა, მოჰქუხს მაყარი—
სწორეთ მომგვრელი იყო ცოფისა;
მუსვრა და ღეწვა, ჩეხა საზარი!..

—

„უცბათ ეს ომი ლხინად გადიქცა,
გვესმის საყვირი, უკრავენ ბუკსა:
დამარცხებული მტერი გაიქცა,
რაღას მივსდიოთ ჩვენ მტვრისა ბუქსა!

—

„თუმც მძლეველნი ვართ, აღარ გვახარებს
არც დაფ-ნაღარა და აღარც ბუკი:
მოსისხლე მტერთან ბრძოლისა ველზე
ბევრი დავტოვეთ მარჯვე ჭაბუკი!

—

„მხოლოდ მით გული არ გვიტუდებოდა,
ვერ ისარებდა ჩვენზედა მტერი!
ზოგს მამა, შვილი, ძმა გვიკვდებოდა,—
რა ვქნათ... გვიყვარდა ჩვენი ივერი...

—

„აი რა ახსოვთ ამ კოშკ-ციხესა
და იმ კლდის ძირში პატარა ხესა!!“
რამდენიმეც სთქვა სიტყვები მწარე,
თვალთ წარმოსცვივდა ცრემლები ცხარე...

—

„ვაი, იმ დროსა გლახ-გაცუდებულს:
მოყვასი მოყვასს ჭირსა მოსჭამდა!!.
თქვენ კი არ გგავდით, გადაშენებულს:
ჩვენ დროს ძმა ძმის სისხლს აროდეს სვამდა.

—

„აბა რა გითხრა?!. რომელი ერთი?!
ვის გწამთ: სინდისი, ძმობა, ქველობა?!
სწორე მითხარი, თუ რომ გწამს ღმერთი,
რაში გეტყობათ თქვენ ქართველობა?!.“

—

ახრდილი განქრა ამა სიტყვებით,
მის გზას დავლიე მე თვალთა ჩინი:
მსურდა მიმართვა რამე კითხვებით,
მაგრამ შეიქნა სრულად უჩინი!

აკ. წერეთელი.

ტფილისი, 11 თიბათვე.

ექნება სასტიკი გავლენა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზედ, რადგან ეს კანონები ძლიან შეავიწროებენ დროგამოშვებით ლიტერატურასაო.

— ქ. ფილიპოპოლში მომხდარა დიდ-ძალი ხალხის ყრილობა და დაუდგენიათ გაგზავნონ ბოლგარიის სატახტო ქალაქს სოფიაში დეპუტაცია ბოლგარიის მთავრის მოქმედების წინაალმდეგ, უსიამოვნების გამოსაცხადებლათ.

— ბოლგარიის ლიბერალური დასის წევრი, ცანკოვი, დაუტუსაღებიათ, მისგან რუსეთის წარმომადგენელთან ხიტროვოსთან წერილის მიწერის გამო.

— ზოგიერთ პირებს სდევნიან ბოლგარიიდამ, სხვათა შორის გამოუსტუმრებიათ „ქიდამ გაზეთის „გოლოსის“ კორრესპონდენტი. ბევრი ჩინოვნიკები სტოვებენ სამსახურს.

— სამთავროის „დიდ ყრილობაში“ ამორჩევები დაიწყება 4 ივლისს; დამატებითი ამორჩევები გაგრძელდება 21-მდისინ; სხდომა გაიხსნება 15 ივლისს.

— ვენიდამ იწერებიან, რომ ბოლგარიის პირველი მინისტრი ერნროტი „დიდი ყრილობის“ გახსნის შემდეგ გამოვა სამსახურიდამაო.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

### ჭრა-კერვის გაკვეთილები

ახალის მეთოდით მხატვრობის საშუალობით.

ღარიბ ქალებისთვის ცალკე პირობით. მიიღება ქალებისა და ყაწვილების საკერავები. იყიდება ახალ-მოდის ვიკროიკები. პლისეს აკეთებენ კაბებზე მაშინით.

ადრესსი: ძუკია, ნიკოლაევის ქუჩა, № 87. (1—1)

---

### ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ. დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფილდოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—88)

---

**ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** საავგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჟონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლეპის კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—71)

---

### ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, პირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, პადნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რვეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, პარუსინა, ცხვირ-სახოცები, პირსახოცები, კლეონკა, კაცის და ქალის წინდები, უნაგრები, პორტვეინი, ხერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი პარტიებით ვაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: შერბეთი, მაგნეზია და წუწუმპილისაგან ლეპიოშკები, ტიუბაისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის პარაშოკი, საპონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფეხის-ალაგებისათვის, სპარსეთის პარაშოკი და სხვ. (15—7)

---

**ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘ** 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პადნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბოლაზი 1 მ.-1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის. (15—6)

---

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შიო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშვეპინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაგინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭკვანას იგარები. (100—84)

---

### ინკლისის მაღაზიაში

**ᲗᲛᲘᲡ ᲐᲛᲝ-ᲧᲕᲐᲜᲘ**



**ᲛᲐᲥ-ᲛᲐᲡ-ᲢᲔᲠᲘ**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—104)

---

### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

**ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘ** 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ., ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—5)

---

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

# ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲘ

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს — მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია [illegible] თარგმ. ალექსი [illegible] VI [illegible]გილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გავლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

---



შთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲜᲐᲝᲤᲚᲐᲠᲘᲡᲐ**, რომელიც (ნაოვლარი) სიცხისაგან განდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,



# ᲒᲐᲚᲛᲐᲜᲘᲜᲘ

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელექტორალის ქუჩაზე № 35. დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავში 50 კ. ღირს, პატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კარობკასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა იხმაროთ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო გამოფენისა. (20—9) გ. კარპინსკი.

---

### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—5)

---

### ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

**ᲓᲔᲓᲐ-ᲔᲜᲐ** ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო სკოლებში სახმარებელი, მესამე გადასწორებული გამოცემა. ამ გამოცემაში ჩამატებულია ოცზედ მეტი ახალი ხალხური მოთხრობა და ლექსი; ახალი ანდაზები და გამოცანები, შესწორებული შინაარსი და ენა სტატიებისა და რავდენიმე ახალი სურათი არის ჩართული. ისყიდება გამომცემლის ბრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურში. ფასი ექვსი შაური. მაგრამ წიგნი ხუთშაურათ დაეთმობათ სახალხო სკოლებს და სხვა სასწავლებლებს, როცა იყიდიან ნაღდს ფულზედ ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და კერძოპირებს, როცა წაიღებენ ასს ეგზემპლიარსა.

**ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ** ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა შევსებული ახალი სტატიებით და შემკული სურათებითა და საქართველოს კარტით; ფასი თხუთმეტი შაური. ისყიდება ვარ[illegible]ანოვთან და სხვა წიგნების მაღაზიებშიაც. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათა, ვინც თხუთეტს ეგზემპლიარს ერთათ ნაღდს ფულზედ იყიდის, ცამეტ შაურათ, ვინც ერთად წაიღებს ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა.

ვისაც სურს ან პირველი ან მეორე წიგნი უდაში ჩასმული მიიღოს, წიგნის ფასს უნდა სამი შაური დაუმატოს.

როგორც **ᲓᲔᲓᲐ-ᲔᲜᲐ**, ისე **ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ** მოწონებილნი არიან (**рекомендованы**) და სახელმძღვანელოდ დადებულნი პეტერბურღის მსწავლულთა კამიტეტისაგან, განათლების მინისტრის დამტკიცებით. (10—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Іюня 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ივ. მაჭავარიანი და ს. მესხი